მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვა. შეფასება
სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია.
2. შეფასების ძირითადი ამოცანებია:
ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;
ბ) მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;
გ) მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
3. სკოლაში გამოიყენება როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებია მიმდინარე საშინაო, მიმდინარე საკლასო და შემაჯამებელი დავალებები. განმავითარებელი შეფასება შესაძლებელია გამოყენებული იქნას ნებისმიერ კომპონენტში.
4. განმავითარებელი შეფასება:
ა) გამოიყენება იმისთვის, რომ თვალსაჩინო გახდეს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა/პროგრესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები ;
ბ) საშუალებას იძლევა შეიქმნას მხარდაჭერის მექანიზმი მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის.
5. განმავითარებელი შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები: თვითშეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, უკუკავშირი, ერთწუთიან ესე და სხვა (იხ.დანართი 1.)
6. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით.
7.საკლასო შეფასების ფორმატში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით დონეების მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
10	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
9		
8	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
7		
6	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
5		

4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

8. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება.
9. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება.
V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასება. ქულით მოსწავლე ფასდება საკლასო და შემაჯამებელ დავალებაში. მე-7 კლასიდან მოსწავლე ფასდება სამივე კომპონენტში.
13. განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება იყოს დიფერენცირებული და არადიფერენცირებული და შეიძლება განხორციელდეს საკლასო და სისტემურ დონეზე
14. არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა) გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, არჩევით საგნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში. საშუალო საფეხურზე პროექტებში – სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (ზეპირი ფორმით).
15. განმსაზღვრელი შეფასება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განმავითარებელი მიზნებისთვისაც.
9.სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:
ა) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში; სემესტრული ქულა გამოითვლება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; სემესტრული ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.
ბ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიური ქულა გამოითვლება საგნის სემესტრის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;
გ) საგნის საფეხურის ქულა - საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული;
დ) საფეხურის ქულა გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. სკოლაში კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5.0 ან მეტი და არადიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში მოსწავლეს მიღებული აქვს "ჩათვლა". დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.
2. თუ მოსწავლეს კლასში რომელიმე საგანში აქვს 5.0-ზე დაბალი წლიური შეფასება, სკოლა მოსწავლეს სთავაზობს რემედიაციის პროგრამას საშემოდგომო გამოცდის ჩატარებამდე.

რემედიაციის პროგრამა სპეციალურად იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით.

3. რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მიმღები სკოლა მოსწავლეს რიცხავს ასაკის შესაბამის კლასში და იღებს ვალდებულებას რემედიაციის გზით საგნის/საგნების დაძლევის თაობაზე. რემედიაციის პროგრამა დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის სახით სკოლამ შეიძლება შესთავაზოს მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს, რომლებსაც არ აქვთ ის საგანი/საგნები გავლილი გამშვებ სკოლაში, რომელიც ისწავლება ჩემს ევროპულ სკოლაში

4. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია, სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

5. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

6. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ამ მუხლის წინა პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

7. სკოლა შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ 6 კვირაზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი გახდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. სკოლა დაადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებენ მოსწავლესთან ვიზიტს. შინ სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება დისტანციური სწავლების (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) ფორმაც; მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას; მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას;

8. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელი გაითვალისწინებს მოსწავლის ფიზიკურ მდგომარეობას.საჭიროებისამებრ შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეს რომელსაც სჭირდება 6 კვირაზე მეტი მკურნალობა

შეფასება და გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.

2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა

კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

ა)საშემოდგომო გამოცდა;

ბ)ექსტერნატის გამოცდა;

გ)სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა;

საშემოდგომო გამოცდა და რემედიაციის პროგრამა

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში; საშემოდგომო გამოცდა ჩატარდება სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა. მოსწავლის მხრიდან ობიექტური გარემოებების გამო აღნიშნულ ვადაში გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რაზედაც იქნება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება და მტკიცებულება, სკოლა დაუშვებს გამოცდის ჩატარებას მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. სექტემბრის 5 რიცხვამდე. გამოცდა ჩატარდება წერილობითი ფორმით, საგამოცდო საკითხები დამუშავდება შესაბამის დეპარტამენტში. საშემოდგომო გამოცდაზე მიღებული ქულა ხდება საგნის წლიური ქულა;

ექსტერნატის ფორმით გამოცდა

ა)ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

ბ)ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა

ა) სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

ბ) სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.

გ) მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარებას.

დ). მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: **გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.**

ე). პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში. მშობელი სკოლას განცხადებით მიმართავს პირველი სემესტრის სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდის დანიშვნის თაობაზე მეორე სემესტრის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში, მეორე სემესტრის სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდის დანიშვნის თაობაზე მეორე სემესტრის დასრულებიდან 1 კვირის განმავლობაში.